საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1550

ქ. თბილისი

16/11/2021

ხობის მუნიციპალიტეტში, შპს „შავი ზღვის ტერმინალის" ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთ საზღვაო ტერმინალში, №6 სარეზერვუარო პარკის რეკონსტრუქციისა და დამატებით ახალი 1x5000 მ³ მოცულობის რეზერვუარის მოწყობა-ექსპლუატაციაზე (ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე) სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და I დანართის 29-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ხობის მუნიციპალიტეტში, შპს „შავი ზღვის ტერმინალის" ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთ საზღვაო ტერმინალში, №6 სარეზერვუარო პარკის რეკონსტრუქციისა და დამატებით ახალი 1x5000 მ³ მოცულობის რეზერვუარის მოწყობა-ექსპლუატაციაზე (ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე) სკოპინგის დასკვნა N55 (09.11.2021);
2. შპს „შავი ზღვის ტერმინალი" ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N55 (09.11.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „შავი ზღვის ტერმინალს";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „შავი ზღვის ტერმინალის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხობის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი